საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

N 1501-02
12/07/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 26 აპრილის №17 და 2016 წლის 11 ივლისის N20 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2016 წლის 12 ივლისს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი , კერძოდ:

ა) ფსიქოლოგიის მიმართულებით პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე არჩეული იქნან რევაზ კორინთელი და ქეთევან მაყაშვილი;

ბ) კულტურის კვლევების მიმართულებით პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე არჩეულ იქნას ზაალ ანდრონიკაშვილი;

გ) ანალიზური ფილოსოფიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე არჩეულ იქნას თამარ ცხადაძე;

დ) კერძო მეთოდიკების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე არჩეული იქნან ნუგზარ აბაკელია და ელენე თაბორიძე;

ე) ორიენტალისტიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე არჩეულ იქნას ლალი გულედანი;

ვ) ფსიქოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე არჩეულ იქნას დარეჯან კახიანი;

ზ) რომანისტიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე არჩეულ იქნას მანანა ხოფერია.;

2.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი